ხელშეკრულება № 50
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი

4 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხიდაშელის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ენერჯი პარტს" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის არსენ ახვერდოვის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისათვის გამოყოფილი სახსრებით სატრანსპორტო საშუალებებისათვის - საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამტანის – MAN F07, ამწე კალათა - DAF, თვითმცლელი - Kamaz, მსუბუქი ავტომობილი - Honda Stream, სატვირთო ავტომობილი - Ford Transit, გრეიდერი - KOMATSU, ბულდოზერი - HBM-NOBAS და მსუბუქი ავტომობილის Nissan X-trail-სათვის ფილტრების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

| # | დასახელება | CPV-კოდი | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზეთის ფილტრი LF16015 | 42913000 | ცალი | 2 |
| 2 | საწვავის ფილტრი FF5421 | 42913400 | ცალი | 2 |
| 3 | ჰაერის ფილტრი AL12 | 42913500 | ცალი | 2 |
| 4 | ზეთის ფილტრი LF3346 | 42913000 | ცალი | 1 |
| 5 | საწვავის ფილტრი CS1589M | 42913400 | ცალი | 2 |
| 6 | ჰაერის ფილტრი CH1225 | 42913500 | ცალი | 2 |
| 7 | ჰაერის ფილტრი AL12 | 42913500 | ცალი | 2 |
| 8 | ზეთის ფილტრი LF3970 | 42913000 | ცალი | 2 |
| 9 | ჰაერის ფილტრი EH8222R/822IR CR0035 | 42913500 | ცალი | 2 |
| 10 | ზეთის ფილტრი HF30244 | 42913000 | ცალი | 2 |
| 11 | ჰაერის ფილტრი CR0004/0005 | 42913500 | ცალი | 2 |
| 12 | ფილტრი საწვავის FS19732 | 42913400 | ცალი | 2 |
| 13 | ზეთის ფილტრი CE1221HT | 42913000 | ცალი | 2 |
| 14 | ფილტრი საწვავის FF5421 | 42913400 | ცალი | 2 |
| 15 | ჰაერის ფილტრი J.P.F.A -429S 20402014 | 42913500 | ცალი | 2 |
| 16 | ჰაერის ფილტრი Filtron AP061 20400979 | 42913500 | ცალი | 2 |
| 17 | ზეთის ფილტრი LF9080 | 42913000 | ცალი | 2 |
| 18 | საწვავის ფილტრი CS1470M | 42913400 | ცალი | 2 |
| 19 | საწვავის ფილტრი FS1242 | 42913400 | ცალი | 2 |
| 20 | წყლის ფილტრი WF2075 | 42913000 | ცალი | 2 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21 | ზეთის ფილტრი კამაზი 20200320 | 42913000 | ცალი | 2 |
| 22 | ჰიდრავლიკის ფილტრი HF35140 | 42913000 | ცალი | 2 |
| 23 | საწვავის ფილტრი კამაზი 20200319 | 42913400 | ცალი | 2 |
| 24 | საწვავის ფილტრი Filtron PP848/1 20400986 | 42913400 | ცალი | 2 |
| 25 | ზეთის ფილტრის შემამჭიდროვებელი 20200384 | 42913000 | ცალი | 2 |
| 26 | საწვავის ფილტრის შემამჭიდროვებელი 20200460 | 42913000 | ცალი | 2 |
| 27 | ჰაერის ფილტრი (ახალი) კამაზი 20200541 | 42913500 | ცალი | 2 |
| 28 | ზეთის ფილტრი Hengst H97W06 20400590 | 42913000 | ცალი | 1 |
| 29 | ჰაერის ფილტრი RS5431 | 42913500 | ცალი | 2 |
| 30 | ფილტრი ზეთის J.P.F.O - 410S 20405417 | 42913000 | ცალი | 2 |
| 31 | ჰაერის ფილტრი J.P.F.A -108S 20405417 | 42913500 | ცალი | 1 |

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში №1
3.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 4130 (ოთხიათასასოცდაათი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი. ცხინვალის გზატ, მე-5 კმ
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით)

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდალური დღისა.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ თვითმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მექანიზაციის სამსახურის უფროსი – ალექსანდრე ლუკაშეილი

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.6 ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი №1.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**დამკვეთი**

ა(ა)იპ თვითმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

ს/კ 417884622

ბანკი : სს ლიბერთი ბანკი

ბანკის კოდი : LBRTGE22

ა/ა GE65LB0115135041722000

მისამართი: გორი, ცხინვალის გზ. მე-5 კმ

-----------------------------------

დირექტორი გიორგი ხიდაშელი

**შემსრულებელი**

შპს „ენერჯი პარტს"

ს/კ 445416416

ბანკი : სს საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი : BAGAGE22

ა/ა GE02BG0000000860580700

მისამართი : თბილისი, ბელიაშვილის N167

-----------------------------------

დირექტორი არსენ ახვლედიანი

დანართი #1

| # | დასახელება | CPV-კოდი | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზეთის ფილტრი LF16015 | 42913000 | ცალი | 2 | 40 | 80 |
| 2 | საწვავის ფილტრი FF5421 | 42913400 | ცალი | 2 | 42 | 84 |
| 3 | ჰაერის ფილტრი AL12 | 42913500 | ცალი | 2 | 78 | 156 |
| 4 | ზეთის ფილტრი LF3346 | 42913000 | ცალი | 1 | 26 | 26 |
| 5 | საწვავის ფილტრი CS1589M | 42913400 | ცალი | 2 | 22 | 44 |
| 6 | ჰაერის ფილტრი CH1225 | 42913500 | ცალი | 2 | 125 | 250 |
| 7 | ჰაერის ფილტრი AL12 | 42913500 | ცალი | 2 | 65 | 130 |
| 8 | ზეთის ფილტრი LF3970 | 42913000 | ცალი | 2 | 70 | 140 |
| 9 | ჰაერის ფილტრი EH8222R/822IR CR0035 | 42913500 | ცალი | 2 | 165 | 330 |
| 10 | ზეთის ფილტრი HF30244 | 42913000 | ცალი | 2 | 160 | 320 |
| 11 | ჰაერის ფილტრი CR0004/0005 | 42913500 | ცალი | 2 | 175 | 350 |
| 12 | ფილტრი საწვავის FS19732 | 42913400 | ცალი | 2 | 120 | 240 |
| 13 | ზეთის ფილტრი CE1221HT | 42913000 | ცალი | 2 | 125 | 250 |
| 14 | ფილტრი საწვავის FF5421 | 42913400 | ცალი | 2 | 65 | 130 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ჰაერის ფილტრი J.P.F.A -429S 20402014 | 42913500 | ცალი | 2 | 20 | 40 |
| 16 | ჰაერის ფილტრი Filtron AP061 20400979 | 42913500 | ცალი | 2 | 12 | 24 |
| 17 | ზეთის ფილტრი LF9080 | 42913000 | ცალი | 2 | 155 | 310 |
| 18 | საწვავის ფილტრი CS1470M | 42913400 | ცალი | 2 | 30 | 60 |
| 19 | საწვავის ფილტრი FS1242 | 42913400 | ცალი | 2 | 70 | 140 |
| 20 | წყლის ფილტრი WF2075 | 42913000 | ცალი | 2 | 55 | 110 |
| 21 | ზეთის ფილტრი კამაზი 20200320 | 42913000 | ცალი | 2 | 10 | 20 |
| 22 | ჰიდრავლიკის ფილტრი HF35140 | 42913000 | ცალი | 2 | 120 | 240 |
| 23 | საწვავის ფილტრი კამაზი 20200319 | 42913400 | ცალი | 2 | 7 | 14 |
| 24 | საწვავის ფილტრი Filtron PP848/1 20400986 | 42913400 | ცალი | 2 | 27 | 54 |
| 25 | ზეთის ფილტრის შემამჭიდროვებელი 20200384 | 42913000 | ცალი | 2 | 3 | 6 |
| 26 | საწვავის ფილტრის შემამჭიდროვებელი 20200460 | 42913000 | ცალი | 2 | 2 | 4 |
| 27 | ჰაერის ფილტრი (ახალი) კამაზი 20200541 | 42913500 | ცალი | 2 | 40 | 80 |
| 28 | ზეთის ფილტრი Hengst H97W06 20400590 | 42913000 | ცალი | 1 | 20 | 20 |
| 29 | ჰაერის ფილტრი RS5431 | 42913500 | ცალი | 2 | 215 | 430 |
| 30 | ფილტრი ზეთის J.P.F.O - 410S 20405417 | 42913000 | ცალი | 2 | 14 | 28 |
| 31 | ჰაერის ფილტრი J.P.F.A -108S 20405417 | 42913500 | ცალი | 1 | 20 | 20 |
| 32 | მთლიანი ღირებულება ყველა გადასახადის ჩათვლით | | | | 4130 ლარი | |

დირექტორი გიორგი ხიდაშელი

დირექტორი არსენ ახვერდოვი